შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.

„ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"

სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

№ 220513/6 22 მაისი 2013წ.

### გამოყენებული მასალის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები

მოგესალმებით და გაწვდით საკონკურსო პირობებით მოთხოვნილ ინფორმაციას კომპანია „ოპტიმუსი"-ს მიერ წარმოდგენილი პროექტის, ქ.ადიგენის ტერიტორიული სამსახურის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად გამოსაყენებელ მასალების შესახებ.

ფასადებზე არსებული კარ-ფანჯარა შეიცვლება და მათ მაგივრად დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის ალუმინის სილიკონური, თერმული ხიდებიანი სახეობის ვიტრაჟები. ფასადები შეკეთდება და შეილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით. მეტი სიმყარისთვის შესაძლოა ზოგიერთ ადგილას მოეწყოს არმირებული ბადეც.

ფასადზე არქიტექტურული ელემენტების სახით მოეწყობა ასევე ალუმინის ვიტრაჟები, რომლების ოდნავ გამოიწევა სიბრტყიდან და დამონტაჟდება მილ-კვადრატებით შეკრულ კარკასზე.

ფასადებზე, ასევე გამოყენებული იქნება მინა-პლასტიკის პროფილის მასალა ფილების სახით, რომელიც დღეს-დღეისობით ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მშენებლობებში, ის არის ძალზედ მოქნილი სამშენებლო მასალა, ადაპტირებული ყოველგვარი კლიმატური პირობებისთვის, ხარისხიანია და შენობების ფასადებს აძლევს განუმეორებელ ეფექტს.

სახურავი შეკეთდება და დაიფარება ჰიდრო-იზოლაციით – პოლიურეთანის მასალით, რომელიც ხასიათდება დიდი ხანგამძლეობით და ჰიდრომედეგობით.

პატივისცემით,

შ.პ.ს. "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: 238 12 95;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 032 238 12 95; email:g.chankvetadze@gmail.com